პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი № 175 (12383) | პარასკევი, 27 ივლისი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

მესიმინდეობა

დამკვრელური ფრონტია

○ ○ ○

სიმინდის ნათესების პირველი დამუშავების აგროვადები ამოიწურა

დასამუშავებელია 26.698 ჰექტარი

○ ○ ○

ჭიანურდება ნათესების მეორე რიგის დამუშავებაც

○ ○ ○

სიმინდს საჭირო უურადღებას არ აქცევენ გუდაუთის, გურჯაანისა და სოხუმის საწარმოო სამმართველოები

○ ○ ○

დაუყოვნებლივ დავძლიოთ ჩამორჩენა!

იქნება სიმინდი, იქნება ხორცი, რძე...

ეკონომიკის ფრონტი — კომუნიზმს!

კერამიკოსთა გამარჯვება

კერამიკული კომბინატის კოლექტივმა, რომელიც მტკიცედ დგას რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა მწყობრში, დროს გაუსწრო და 20 ივლისისათვის შვიდი თვის გეგმა შეასრულა. მოსაპირკეთებელი ფილების გამოშვების გეგმა შესრულებულია 115,1 პროცენტით, ხოლო ნახევრადფაიფურის უნიტაზებისა და სხვა სამშენებლო პროდუქციის გამოშვება 104 პროცენტით ბრის განლდებული. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 26.649 კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები და 2.752 ცალი სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობა.

მოწყობილობისა და დანადგარების მაქანიმაური გამოყენებით, ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვით წარმოებაში შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით ამაღლდა 7,8 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 3,3 პროცენტით. დიდი რაოდენობით არის დაზოგილი მასალები და ელექტროენერგია. ყოველივე ამის შედეგად მკვეთრად გაუმჯობესდა წარმოების ეკონომიური მაჩვენებელი. წლის პირველ ნახევარში კერამიკოსებმა რესპუბლიკის ეკონომიის ფონდში 77,1 ათასი მანეთი შეიტანეს.

— რით მიაღწიეთ ასეთ დიდ წარმატებას? — ამ კითხვით მივმართეთ თბილისის კერამიკული კომბინატის დირექტორს ვ. ურუშაძეს:

— რიტმული მუშაობით, კოლექტიური შემართებით, შრომის მაღალი ტემპით, — გვიპასუხა მან- და დაგვიწყო საუბარი იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ხელს უწყობენ კომბინატის საერთო წარმატებასა და ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებასაც.

პროდუქციის თვითღირებულება, — გვეუბნება დირექტორი, — სარკეა წარმოების. თუ კარგად იცი წარმოების ეკონომიკა, ამ სარკეში კარგად დაინახავ ნაკლსაც და მიღწევებსაც. თავის ქებად ნუ ჩამითვლით, და გულახდილად გეტყვი, რომ ჩვენი წარმოების ყველა უბნის ხელმძღვანელს შესწევს უნარი და სათანადო ცოდნა იმისათვის, რომ ანალიზი გაუკეთოს თვითღირებულების შემცირების ყველა ფაქტორს და გადახარჯვების შემთხვევაში დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსწორებისათვის. მეორე, ეს გახლავთ მთელი კოლექტივის ერთსულოვნება და მონდომება, ყოველგვარი ახლისა და პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის დაუცხრომელი და შემართებითი ბრძოლა. აი ყველაფერი ის, რითაც წარმატებას ვაღწევთ.

მიღწეული ზღვარი არ არის, — განაგრძობს ამბ. ურუშაძე, — წარმოებაში ჯერ კიდევ არის რეზერვები ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის. სხვანაირად არც შეიძლება. წარმოება იბრძვის კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო სახელის მოპოვებისათვის. მიღწეული წარმატებები და ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის დასახული ღონისძიებანი უფლებას გვაძლევენ ვთქვათ, რომ ამ საპატიო წოდებას ჩვენი წარმოება მალე მოიპოვებს და კიდევ უფრო გაბეჭდული ნაბიჯით გასწევს წინ, შვიდწლედის ზღუდეების დასაპყრობად.

ზ. ბასილაშვილი.

წლის პირველი ნახევრის შედეგები შეჯამებულია. საწარმოთა კოლექტივები ანალიზს უკეთებენ განვლილ მუშაობას, სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის და ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის. ექვსი თვის შედეგების მიხედვით ბევრმა საწარმომ ისახელა თავი და ღირსეული წვლილი შეიტანა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადების საქმეში.

თბილისი. კერამიკული კომბინატის კოლექტივმა ეკონომიის ფონდში 77,1 ათასი მანეთი შეიტანა.

ცხინვალი. მექანიკური ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივმა ეკონომიის ფონდს შემატა 40,6 ათასი მანეთი.

რიტმული მუშაობით

ცხინვალი. (საკ. კორ.). გასულ წელს ჩადგა მწყობრში ცხინვალის მექანიკური ქარხანა. მის პროდუქციას შეადგენს მიკროქვაბები, სეიფები, რკინის კარადები, სხვადასხვა, მანქანების დეტალები. თავიდანვე რიტმულად აიწყო თავისი საქმიანობა ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივმა.

ახლა ნათელ კორპუსებში შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული. მიმდინარე წლის პირველი ნახევრის დავალება საწარმოს კოლექტივმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. სეიფების გამოშვების გეგმა შესრულებულია 130 პროცენტით, მიკროქვაბებისა — 122 პროცენტით, რკინის კარადებისა — 167 პროცენტით.

უკანასკნელ ხანებში საწარმოს საამქროებში დამონტაჟდა მაღალი წარმადობის ჩარხები, გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია და ნელ-ნელა ადგილი ეთმობა, რის საფუძველზეც შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება. **წლის პირველ ნახევარში საწარმომ რესპუბლიკის შვიდწლედის ეკონომიის ფონდში შეიტანა 40,6 ათასი მანეთი.**

634 მძიმეწონიანი მატარებელი

ხაშური. (საკ. კორ.). აქაურმა მეელმავლეებმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში სურამის უღელტეხილის რუელ-პროფილიან გზაზე გაატარეს 634 მძიმეწონიანი მატარებელი და გეგმის გადამეტებით გადაიტანეს 79.137 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

მძიმეწონიანი მატარებლების ტარების ოსტატი შორის გამოირჩევა ელმავლის მემანქანე რეზო საყვარელიძე, რომელმაც ექვს თვეში 37 მძიმეწონიანი მატარებელი გაატარა და გეგმის გადაჭარბებით გადაზიდა 7.078 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი. ასევე მემანქანეებმა ლავრენტი გორგაძემ და გიორგი დათაშვილმა 26-28 მძიმეწონიანი მატარებელი გადაიყვანეს და ათასობით ტონა ზეგეგმითი ტვირთი გადაიტანეს.

მძიმეწონიანი მატარებლების ტარებასთან ერთად ხაშურელი მეელმავლეები გადამეტებით ასრულებენ ელმავლის ტექნიკური სიჩქარის გაზრდისა და საერთო სადღეღამისო გარბენის დავალებებს, აღწევენ ელექტროენერგიისა და საცხები მასალების ეკონომიას.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ლ. ტომპსონი

25 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ლ. ტომპსონი, რომელიც გამოსათხოვრად ეწვია სსრ კავშირიდან თავისი მომავალი გამგზავრების გამო. ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ტომპსონს შორის გაიმართა საუბარი [illegible] მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი.

იმავე დღეს საღამოს ნ. ს. ხრუშჩოვმა და ნ. პ. ხრუშჩოვამ ელჩი ლ. ტომპსონი და მისი მეუღლე მიიწვიეს სადილზე, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. სადილზე იყო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი. (საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრა ი. ცედენბალთან

26 ივლისს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ი. ცედენბალს. საუბარმა გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

შეხვედრას დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. ი. ვ. ანდროპოვი.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ელჩები მიიღო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 26 ივლისს მიიღო მაროკოს ელჩი საბჭოთა კავშირში ბაშარ ბენ აბესა მისი თხოვნით. ნ. ს. ხრუშჩოვსა და მაროკოს ელჩს ჰქონდათ მეგობრული საუბარი, რომელსაც დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ა. მალიკი.

* * *

26 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო მალის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში მამადუ კეიტა მისი თხოვნით და ჰქონდა მასთან საუბარი, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. საუბარს დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ა. მალიკი.

* * *

სირიის არაბთა რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში რაფიკ აშა 26 ივლისს ვიზიტად ეწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს სსრ კავშირიდან თავის მომავალ გამგზავრებასთან დაკავშირებით. ნ. ს. ხრუშჩოვს და ელჩს ჰქონდათ მეგობრული საუბარი, რომელსაც დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. გ. ლაბინი.

ა. ი. მიქოიანი მოსკოვში ჩამოვიდა

მოსკოვი, 25 ივლისი. (საკდესი). ოღეს მოსკოვს დაბრუნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი, რომელიც ინდონეზიაში გაეგზავნა კეთილი ნების მისიით რესპუბლიკის პრეზიდენტს დოქტორ სუკარნოს მიწვევით. ჯაკარტიდან სამშობლოში მომავალი ა. ი. მიქოიანი ინდონეზიის მთავრობის მიწვეული ხანმოკლე ვიზიტად იყო დელიში.

ა. ი. მიქოიანთან ერთად დაბრუნდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფიროუბინი და სხვა პირები, რომლებიც მას ახლდნენ მოგზაურობის დროს.



ოღეს შესრულდა 10 წელი, რაც ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლგა-დონის სანაოსნო არხი საექსპლოატაციოდ გადაეცა.

სურათზე: საეკსკურსიო დიზელ-ელექტრომავალი „ლევ დოვატორი" მიდის დონის როსტოვიდან მოსკოვში.

საკდესის ფოტოკორონეა.

მცურავი სკოლა კუბაში

კალინინგრადი, 26 ივლისი. (საკდესი). კალინინგრადის ხუთი თევზსაჭერი ტრაულერი კუბაში ჩავიდა, რათა მეისწავლონ თევზის სარეწი რაიონები და კუბელ მეთევზეებს ასწავლონ საოკეანო გემებიდან თევზის ტრალით ჭერის ხელოვნება. ეს ტრაულერები გავიდნენ პირველი საცდელი ჭერისათვის მექსიკის ყურეში. ამის შესახებ კალინინგრადის ავანთა ექსპედიციის უფროსმა ვ. ა. ჯაფარიძემ.

ტრალით ჭერის პირველმა ცდებმა ცხადყვეს, რომ აქ შეიძლება დიდძალი სხვადასხვანაირი თევზის ჭერა. ტრაულერ „9011"-ის ეკიპაჟმა მოკლე დროში დაიჭირა 90 ცენტნერი თევზი, ხოლო გემების „9020" და „9070" ეკიპაჟმა — ორმოცი-ორმოცი ცენტნერი თევზი. ამავე დროს კალინინგრადელები სწავლობენ ყურის ახალ, ნაკლებად გამოკვლეულ თევზის სარეწ რაიონებს.

საბჭოთა ტრაულერები გადაიტვირთენ თავისუფალ მცურავ სკოლად, სადაც კუბელი მეთევზეები შეისწავლიან თევზჭერის მექანიზებულ ტექნიკას.

ბევრი დიად საქმეზე

კიბოს საწინააღმდეგო მეორე საერთაშორისო კონგრესი

მოსკოვი, 25 ივლისი. (საკდესი). მესამე დღეა უნივერსიტეტში ლენინის გორაზე მუშაობს მსოფლიოს ონკოლოგთა ფორუმი. სექციებში და დისკუსიებზე მოსმენილია სამასზე მეტი მოხსენება.

ამ სექციის ღღეანდელი სხდომის მონაწილეს პროფესორ ჟან მეზენს (ბელგია), კიბოს საწინააღმდეგო საერთაშორისო კავშირის საპატიო პრეზიდენტს მიუნია, რომ კიბოს წინააღმდეგ იმუნიტეტის შექმნის მეთოდების ძიება გენეტიკური მიმართულებაა ონკოლოგიაში.

ცხოველებზე მოწყობილი ცდებით დამტკიცდა, რომ შესაძლებელია ორგანიზმი გახდეს კიბოშეუვალი. თუმცა, საქმე ეხება ექსპერიმენტით გამოწვეულ ავთვისებიან პროცესს.

ეს შესაძლებლობა თავდაპირველად თეორიულად დამტკიცდა, როცა პროფესორმა ლ. ა. ზილბერმა და მისმა თანამშრომლებმა შეძლეს გამოეყოთ კიბოს უჯრედიდან სპეციფიკური პროტეინები, ესე იგი ცილები, რომლებიც განსხვავდება ორგანიზმის ცილისაგან. პროფესორმა მეზენმა თავის ლაბორატორიაში გვიჩვენა, რომ ამ პროტეინებს შეეცავს სიმსივნიანი უჯრედის გარკვეული ნაწილები — მიკროსომები. როგორი პატარაც უნდა იყოს უჯრედის ეს „ნამსხვრევები", მათი გამოყოფა შესაძლებელი გახდა თანამედროვე ულტრაცენტრიფუგების დახმარებით.

ეს მიკროსომები აუცილებელ ნივთიერებებს, ხოლო შემდეგ სცადეს გამოეწვიათ ამ ცხოველებში კიბო. მეცნიერებმა მიიღეს საინტერესო შედეგი: ცხოველების ნახევარი არ დაავადდა; დანარჩენებს — დაავადებულთ — სიმსივნე განუვითარდათ გაცილებით გვიან, ვიდრე საკონტროლო, აუცილებელ ცხოველებს.

პროფესორი მეზენი ფიქრობს გამიეოროს ექსპერიმენტი ბაკიებსა და მაიმუნებზე. თუ მიღებული შედეგები დადასტურდება, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელი გახდება სცადონ ასეთივე აცრა ადამიანზე. მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნავს ბელგიელი მეცნიერი, ამას წინ უნდა უძღოდეს გულმოდგინე და ხანგრძლივი მუშაობა.

მოხსენებები წაკითხული კიბოს იმუნოლოგიის „სექციის სხდომაზე მოწმობენ, რომ ექსპერიმენტები ამ დარგში წარმოებს ჩეხოსლოვაკიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, შვეიცარიაში, საფრანგეთში. კერძოდ ფრანგმა მეცნიერებმა პ. მაზურეკმა და ჯ. დიუპლანმა მიიღეს თაგვებში მყარი იმუნიტეტი ერდოხის სიმსივნეთა წინააღმდეგ.

მესიმინდეთა გაგება

ალაზანის მაღლიან ველზე დიდი სიმინდისათვის ლაშქრობა გაჩაღდა. მზრალად ხნული ნაკვეთებში ორგანული და მინერალური სასუქები შეტანეს და აოშეს. ნამჯის ნარჩენები, ბალახის ფესვურები შეაგროვეს და დაწვეს. მექანიზატორებმა მთელი ფართობი კვადრატულ-ბუდობრივად და მწკრივად დათესეს. გაზაფხულის უუუუნა ნვიმებმა ნიადაგს გული გაულბო, მცხუნვარე მზემ გაათბო. სიმინდი სწრაფად აღმოცენდა. მცენარემ ორი-სამი ფოთოლი რომ გაიკეთა, კულტივაცია დაიწყო. ეს სამუშაო მეორედაც უნაკლოდ შესრულდა. ნათესებში მინერალური სასუქები მეორეჯერ შეტანეს.

აბალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში „მინდვრის დედოფალს" ყველა მეგობრობს, მაგრამ მექანიზატორებს მაინც ვერავინ შეედრება. ზაალ სუბიტაშვილმა და ელიზბარ ონუოლაძემ ოთხასი ჰექტარი სიმინდის ნათესი ისე დაკულტივატორეს, რომ ერთ ჰექტარსაც ვერავინ დასდო წუნი. მათ ათი ათასი კაცის სამუშაო შეახრულეს.

მექანიზატორებმა იმარჯვეს, მაგრამ ბალახი ხომ სიმინდის ძირებშიც ამოდის. მას კულტივატორი ვერ სწვდება. კულტივაციის დროს ზოგან სიმინდს ბელტი დეფეარება, წაიკეცვს. ასე, რომ ოთხი სუბიროა. საჭიროა და ახალსოფლელებიც — ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა დილიდან დაღამებამდე სიმინდის ყანებში ტრიალებდნენ. ორჯერ გათოხნეს. სადაც ბალახმა თავი წამოჰყო, მესამედაც მოუარეს.

კოლმეურნეობის აგრონომი მიხეილ ზაალიშვილი მინდორში ვნახეთ. სიმინდის ღირსეული მეწყვილის ბარდის აღებას მეთაურობდა. იგი აღფრთოვანებით ლაპარაკობს ახალსოფლელთა ბეჯითობაზე, შუქურებს მარჯვენას ულოცავს.

აკაკი შაროვის ბრიგადის სიმინდის ყანაში ცხენინაი კაცი დაიმალება. სირანა წყალობაშვილი ათ წელზე მეტია მეთაურობს რგოლს. იგი სიტყვას არ ღალატობს, ჰექტარზე 50 ცენტნერი სიმინდის მარცვლის მიღება იკისრა. სიკო ტურიაშვილი, გიგა ბუთიაშვილი — რომელი ერთი დავასახელოთ. თვითეულს თითო ჰექტარი სიმინდის ნათესი აუღია დასამუშავებლად, არც ერთს არ დაუკლია ხელი.

მეორე წელია, რაც ვარა ნადირაძე ბრიგადას მეთაურობს. გამოცდილება დიდი არა აქვს, მაგრამ მუშაობაში ტოლი არა ჰყავს. სიმინდი 58 ჰექტარზე უთესია. აგროღონისძიებებით გათვალისწინებული სამუშაოები არც ერთი ჰექტარისათვის არ დაუკლია. ციცინო მედულაშვილის რგოლი ჰექტარზე სამოც ცენტნერ სიმინდს მოელის. გეგმა კი ამის ნახევარსაც არ ითვალისწინებს. თვითონ შარშან ჰექტარზე 95 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა. წელს ასსაც არ დასჯერდება.

— ოთხასი ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე ორმოცი ცენტნერი, 150 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე კი სამოცი ცენტნერი — ასე თქვეს მესიმინდეებმა და მის განაღდებაში ეჭვი არავის ეპარება. სიმინდი დატაროდა, ტანი აიყარა, მოსავალს კარგი პირი უჩანს. ახალსოფლელები შემოდგომაზე სამშობლოს უხვი მოსავლის მიღებას უპატაკებენ.

ავანი და შოროხი, გაზაფხულსა და შემოდგომაზე ზათქით რომ მიექანებიან ალაზნისაკენ, ზაფხულის თაკარა მზეს დამალვიან, სიცხისაგან ხახაგამშრალ ნიადაგს მთლიანად ჩაუყლაპავს. ახალსოფლის კ. მარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობას სარწყავად ავანის ცივი და ანკარა წყალიც გამოუყენებია. ასე რომ არა, 330 ჰექტარი სიმინდი დაზარალდებოდა, მოსავალი მცირე მოვიდოდა.

ავანის ყურეში „მინდვრის დედოფალს" ტანი აუყრია. მკლავის ოდენა სამ-ოთხი ტარო გაუკეთებია. ჰექტარზე საშუალოდ ოთხმოც ცენტნერზე ნაკლები მოსავალი არ მოვა.

ნათქვამია, „ბუზი ყველა ბზუის, მაგრამ ფუტკართან ყველა ტყუისო". სწორედ ასეა მარჯანიშვილის სახელობის კოლმეურნეობაშიც. არც ერთი ბრიგადა არ არის ისეთი, რომ „მინდვრის დედოფალი" ყანები უნაკლოდ არ დამუშავებინა, მაგრამ ფირუზ თურმანიძის ბრიგადას მაინც ვერავინ შეედრება. გეგმით კოლმეურნეობის საწყობს 80 ცენტნერი სიმინდი უნდა მიუწონოს ჰექტარიდან.

— წიწკანაანთსერის კოლმეურნეობაში სიმინდის ნათესები გაუთოხნელი დატოვეს, „ორწყვა აზრადაც არ მოსვლიათ. ჰექტარზე ათ ცენტნერზე მეტი სიმინდი ვერ მიიღეს.

ამას ყოველწლიურად ამბობდნენ ყვარელში გამართულ სხდომებსა თუ თათბირებზე. ასე იყო შარშანაც.

ახლა რაიონში თუ თელავის საწარმოო სამმართველოში ყველა წიწკანაანთსერელთა ბეჯითობაზე ლაპარაკობს. 110 ჰექტარი სიმინდის ნათესი სანიმუშოდ არის მოვლილი. ხვნა, თესვა, კულტივაცია, თოხნა, სასუქების შეტანა — რა სამუშაოს იტყვით, რომ აქ დროულად და უზადოდ არ ჩატარებულიყოს. ახლა ყველა ღონისძიების ხმარობენ, რომ „მინდვრის დედოფალი" გვალვამ არ დაზიანოს.

ყვარლის რაიონში ჩამორჩენილ კოლმეურნეობაზე რომ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, პირველ რიგში მთისძირის კოლმეურნეობას დაასახელებდნენ. მართალიც იყო. არ ყოფილა შემთხვევა, რომ სიმინდის ნათესების ნახევარი მაინც დაემუშავებინოთ. წელს მთისძირშიც მამაცობენ. 65 წლის გიორგი ხეჩიაშვილმა ოთხი ჰექტარი სიმინდი სანიმუშოდ დაამუშავა. ივანე თენოშვილი ორ ჰექტარს მზრუნველობას არ აკლებს.

გავაზი, ჭიკანი, შილდა, ენისელი. თელავის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს უფროსმა ი. მესტვირიშვილმა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგმა თ. ბადურაშვილმა სხვა კოლმეურნეობების სიმინდის ნათესებიც შეამოწმეს და დამუშავებაში წუნი არსად შეუტანიათ.

ყოჩაღ, ყვარელელო მესიმინდეებო! დაილოცოს თქვენი მარჯვენა!

ს. ჟოჩლაძე.

„კომუნისტის" საკ. კორ.

* * *

სურათზე: ყვარლის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მესიმინდე ც. მედულაშვილი ყანაში.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

ეროვნული ეკონომიკა

უხვი საკვების დამზადება საფრთხეშია

გუნებრივი ბალახების, ნათესი ბალახების თიბვა. და უხვი საკვების დამზადება 1962 წლის 20 ივლისისათვის

საწარმოო სამმართველოები, ავტონომიური რესპუბლიკა, ოლქი	ბუნებრივი ბალახების თიბვა ჰექტარობით		ნათესი ბალახების თიბვა ჰექტარობით		უხვში საკვების დამზადება ტონობით	
	გეგმა	შესრულება	გეგმა	შესრულება	გეგმა	შესრულება
თელავის	1.421	635	2.220	1.405	61.157	16.883
გურჯაანის	4.069	2.774	454	716	42.276	13.259
სიღნაღის	7.978	2.684	3.636	1.431	114.573	28.666
ბოლნისის	18.496	7.637	1.921	923	65.529	9.880
თეთრი წყაროს	20.527	3.084	5.310	1.020	55.396	6.425
დუშეთის	9.934	5.183	661	466	69.911	3.324
გორის	2.251	1.812	3.402	2.285	121.579	9.288
ახალციხის	35.046	4.375	22.068	3.992	195.467	2.465
ამბროლაურის	11.802	698	1.110	585	57.607	2.846
მახარაძის	1.693	—	2.070	—	31.353	—
ზუგდიდის	5.494	164	1.452	—	55.901	—
აფხაზეთის ასსრ	1.410	104	2.144	288	69.278	549
აჭარის ასსრ	7.085	523	720	—	18.326	843
მერძეულეობა-მეცხოველეობის						
სპეციალიზებული ტრესტი	11.752	7.300	9.045	7.003	116.664	18.289
სამხ. ოსეთის ავტ. ოლქი	13.928	1.545	2.197	1.165	75.315	6.082
სულ საქართველოს სსრ-ში	154.152	88.730	64.360	21.480	1.324.746	119.982

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, ზოგიერთი საწარმოო სამმართველო ქმედითს ზომებს არ იღებს ბუნებრივი და ნათესი ბალახების თიბვის დასაჩქარებლად და უხვში საკვების დამზადების საქმეში ჩამორჩენის დასაძლევად. მართალია, წელს რესპუბლიკაში მარშან ამავე პერიოდთან შედარებით ბუნებრივი და ნათესი ბალახები მეტია გათიბული, უხვში საკვებიც უფრო მეტია დამზადებული, მაგრამ წლევანდელი პირობები ნამდვილად განსხვავებულია შარშანდელისაგან და ამ სამუშაოთა შედეგები ამკარად არადამაკმაყოფილებელია.

თუ საწარმოო სამმართველოებმა დღემდე აღებული ტემპით განაგრძეს მუშაობა, მაშინ მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საქმე საფრთხეში აღმოჩნდება. ამ მხრივ ვერაფრით ვერ გაიმართლებენ თავს თელავის, სიღნაღის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, დუშეთის, ახალციხის, გორის და ზოგიერთი სხვა საწარმოო სამმართველოები.

იგლისი მიიწურა. კვლავ ჩამორჩენაა. ახლა ყოველი დღე, საათიც კი ვადამწყვეტია საკვების დაგროვებაში.

შეშფოთებულია, რომ ბევრგან ყურადღებას არ აქცევენ ნამჯის დაგროვებას. ნამჯა ზამთარში პირუტყვისათვის კარგი საკვებია. როგორც ცნობილია, მარშან ბევრ კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას მოუხდა უხვში საკვების დიდი რაოდენობით შესყიდვა და ძალიან ძვირიც დაუჯდათ. ეს წელს უნდა გაითვალისწინონ.

საგულისხმოა ზოგიერთი ფაქტი: თელავის საწარმოო სამმართველოში მოსავალი აღებულია 19.215 ჰექტარზე, ხოლო უხვში საკვების დაგროვების გეგმა შესრულებულია 27,6 პროცენტით, სიღნაღის საწარმოო სამმართველოში მომკილია 54.632 ჰექტარი, უხვში საკვების დამზადების გეგმის შესრულება კი 25 პროცენტს არ აღემატება. დუშეთის საწარმოო სამმართველოში აღებულია 3.444 ჰექტარი, უხვში საკვები დამზადებულია გეგმის 4,6 პროცენტი, ახალციხის საწარმოო სამმართველოში უხვში საკვების დამზადების გეგმა შესრულებულია 1,3 პროცენტით, მაშინ როცა აღებულია 1.102 ჰექტარი მარცვალი. ეს ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ ზოგან ნამჯის შეგროვებას და დაზვინვას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

სანამ გვიან არ არის, სასწრაფოდ მივიღოთ ზომები საკვების დაგროვებაში ჩამორჩენის დასაძლევად.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მადლობა გადაუხადა

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ლ. ტომპსონი

26 ივლისს ნ. ს. ხრუშჩოვმა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ლ. ტომპსონი, ამერიკის ელჩი ბ. ბენ აბესა, მალიელ ელჩი ბ. ბაშარ, ინდონეზიელ ელჩი ბ. ბენ ბელა, ინდონეზიელ ელჩი ბ. ბენ ბელა, ინდონეზიელ ელჩი ბ. ბენ ბელა

ВЛАДИМЕР СВЕТЛИЧНИ.

ЗЕЛДУЛЕТОЕЛИ СВЕТЛИЧНИ — ГИОРГИ ЦЕРЕТЕЛИ

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲡᲘᲪᲮᲘᲗᲘ

ᲢᲘᲠᲘᲤᲝᲜᲘᲡ ველის მადლიან მიწას ბევრჯერ გაუხარებია მშრომელი კაცის გული. ასეა ამჯერადაც. შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანის კომპლექსურმა მექანიზაციამ რესპუბლიკაში პირველად სწორედ ამ მადლიან მიწაზე, გორის რაიონის სოფელ ზედულეთის კოლმეურნეობაში აიდგა ფეხი.

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, შარშან თებერვალში ზედულეთის კოლმეურნეობის მექანიზატორი გიორგი ცერეტელი, ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამირან დემეტრაშვილი „კომუნისტის“ რედაქციის თაოსნობით ყუბანში ეწვივნენ ვლადიმერ სვეტლიჩნის, რათა ახლოს გასცნობოდნენ სახელოვანი მექანიზატორის საქმიანობას.

ყუბანიდან დაბრუნებისთანავე გიორგი ცერეტელი თავმჯდომარესთან ერთად შეუდგა შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანის ახალი წესების დანერგვისათვის მზადებას. შეიქმნა მექანიზებული რგოლი, რომელმაც დაიწყო ჭარხლის დასათესად ნიადაგის მომზადება. მიუხედავად იმისა, რომ ზედულეთელებს არა ჰქონდათ ყველა ის მანქანა, რომელსაც სვეტლიჩნი იყენებს, შარშან მათ შაქრის ჭარხალი საცდელად 30 ჰექტარზე მაინც დათესეს სვეტლიჩნისებურად და მანქანებით მოუარეს.

სვეტლიჩნისებურად შაქრის ჭარხლის მოყვანის პირველი ცდა ნაყოფიერი აღმოჩნდა. ახალმა წესებმა ზედულეთის მიწაზეც გაიარეული გამართლა — საშუალოდ ჰექტარზე 450 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანეს. ამასთან მნიშვნელოვნად შეამცირეს ცენტნერი ჭარხლის წარმოებაზე შრომითი დანახარჯები. გიორგი ცერეტელის რგოლს ცენტნერი შაქრის ჭარხალი 80 კაპიკი დაუჯდა, კოლმეურნეობის მებინდრეობის ბრიგადებს კი — 1 მანეთი და 85 კაპიკი. როგორც ჩანს, განსხვავება დიდია.

წელს ზედულეთელებმა ფართოდ დანერგეს სახელგანთქმული ყუბანელი მექანიზატორის ვლადიმერ სვეტლიჩნის მუშაობის მეთოდი. შეიძინეს ახალი მანქანები. აქ 70 ჰექტარზე ერთღერძიანი „იალტუშკოვსკის“ ჯიშის შაქრის ჭარხალი სვეტლიჩნისებურად დათესეს. მცენარე თანაბრად და კარგად აღმოცენდა. მექანიზებული რგოლი, რომელსაც მოწინავე მექანიზატორი გიორგი ცერეტელი ხელმძღვანელობს, სანიმუშოდ უვლის ნათესს. პლანტაციაში აღრე დილიდან გვიანობამდე გუგუნებენ მანქანები. საფუძველი ეყრება უხვ მოსავალს.

— შაქრის ჭარხლის ნათესების ახალი მეთოდით დამუშავება რომელი სამუშაოთი დაიწყეთ? — გკითხეთ მექანიზატორ გიორგი ცერეტელს.

— წყვილი ფოთლის გამოჩენისთანავე ნათესი დაფარცხეთ ბადისებრი ფარცხით 25-35 გრადუსის დახრით, რითაც ნიადაგი მსუბუქად გავაფხვიერეთ. ამასთან ერთად ნათესები გამოიხშირა.

— შემდეგ რა სამუშაო ჩაატარეთ?

— როცა მწკრივები კარგად გამოჩნდა, ნათესს კულტივაცია დავიწყეთ. „კრნ-5,4“ და „კრნ-2,8“ კულტივატორებით. ერთ აგრეგატს მექანიზატორი ანდრო ცერეტელი, ხოლო მეორეს ჯემალ მანძულაშვილი მართავდა. სამუშაოს დამთავრებისთანავე ნათესები შეგამოწმეთ. ჰექტარზე მცენარეთა რაოდენობა 90-100 ათას ძირამდე დავაყენეთ.

— ესეც მანქანით შეასრულეთ?

— არა, ეს ერთადერთი პროცესია, სადაც ხელით შრომას ვიყენებთ.

— ჭარხალს დამატებით არა კვებავთ?

— როგორ არა. საამისოდ კარგი მანქანა გვაქვს. მინერალური სასუქით პირველი გამოკვება ნიადაგის გაფხვიერებით ჩავატარეთ. შემდეგ ნათესი მოვიწყეთ.

გიორგი ცერეტელმა შაქრის ჭარხლის პლანტაცია დაგვათვალიერებინა. საამო სანახაური. კარგად დამუშავებულ ნიადაგში მცენარეს ღრმად გაუდგამს ფესვი.

გამომშვიდობებისას ცერეტელს გკითხეთ: როგორია თქვენი რგოლის საბრძოლო ამოცანა?

მან შეკითხვაზე მოკლედ მოგვგვიგო: — ჰექტარზე ორნაკლებ 500 ცენტნერ შაქრის ჭარხალს მოვიყვანთ და ცენტნერი ჭარხლის ღირებულებას 50 კაპიკამდე დავიყვანთ.

ზედულეთელ მოწინავე მექანიზატორის სიტყვას საქმეც მოჰყვება. ამის საწინდარია შესანიშნავად მოვლილი ჭარხლის პლანტაციები.

მ. ᲮᲔᲗᲐᲒᲣᲠᲘ.
„კომუნისტის“ საქ. კორ.

ГИОРГИ ЦЕРЕТЕЛИ.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲒᲐ ᲠᲘᲜᲢᲐᲯᲘᲡ

ᲐᲛᲑᲐᲡ წინათ ხობის რაიონის ჭალადიდის მელორეობის საბჭოთა მეურნეობას საზეიმოდ გადაეცა ზუგდიდის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს გარდამავალი დროშა მეცხოველეობის დარგში კარგი მაჩვენებლებისათვის.

ფაქტი თავისთავად საგულისხმო და მისასალმებელია. აქ მართლაც აქვთ სერიოზული მიღწევები. თუ წინა წლებში სიმინდის დაბალ მოსავალს — ჰექტარზე 10-12 ცენტნერს იღებდნენ, 1961 წელს 400 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 20,5 ცენტნერი მარცვალი, ხოლო სოიას, რომელიც 30 ჰექტარზე ეთესათ, ჰექტარზე — 6 ცენტნერი.

წელს 550 ჰექტარი სიმინდის ფართობიდან მეურნეობა მოელის 18 ათას ცენტნერ სიმინდს. ეს 32,5 ცენტნერია თვითეულ ჰექტარზე. დასილოსდება 1.000 ტონა სიმინდი, მიიღებენ 400 ცენტნერ სოიას და სხვადასხვა საკვებ ძირხვნებს — 16.670 ცენტნერს. სულ მეურნეობაში დამზადდება 28.635 ცენტნერი საკვები, ეს მთლიანად დაკმაყოფილებს მეურნეობის მოთხოვნილებას საკვებზე.

იზრდებოდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში კი აქ რძის წარმოება 180 ცენტნერით გაადიდეს, ხორცისა — 394 ცენტნერით, ღორის სულადობა — 18 პროცენტით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 14 პროცენტით. მეურნეობამ სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა შეასრულა 136 პროცენტით, რძისა — 124 პროცენტით.

მიუხედავად ამისა, მეურნეობა რენტაბელური არ არის და წლების განმავლობაში ძვირი უჯდებათ ხორცის, რძისა და სიმინდის წარმოება.

ნათქვამია, გამარჯვებულსაც ასამართლებენო, რატომაო? იკითხავენ. იმიტომ რომ რეზერვებს სათანადოდ ვერ იყენებენ, იმიტომ რომ მეტია შესაძლებელი. აი ფაქტები:

1960 წელს 1 ცენტნერი სიმინდის წარმოება დაჯდა 20 მანეთი ნაცვლად 6 მანეთისა, ხოლო 1961 წელს 15 მანეთი და 23 კაპიკი ნაცვლად 6 მანეთისა და 05 კაპიკისა. მეურნეობას საკმაოდ ძვირი უჯდება მარცვლეულის წარმოება. ეს იმით უნდა აიხსნათ, რომ ჯერ კიდევ სუსტად ინერგება მექანიზაცია. ტექნიკა ძველი და უვარგისია. დღემდე არ შექმნილა კოლხიდის დაბლობის სპეციფიკური პირობებისათვის გამოსადეგი მანქანა-იარაღები. ამასთან ერთად მეურნეობის ბევრი ფართობი დატბორდა. არხები, რომლებიც ათეული წლის წინათ არის გაყვანილი, არ იწმინდება და ამოივსო. აუცილებლად საჭიროა ერთი ექსკავატორი მაინც.

მეურნეობას ჰყავს 1.288 სული ღორი. გეგმა კი 1.026 სულს ითვალისწინებს. შარშან 200 დედაღორიდან თვითეულზე 11 გოჭია მიღებული, 1958 წელს კი მიღებული იყო 5,4 გოჭი. მართალია მატებაა, მაგრამ ეს მაჩვენებელი მაინც დაბალია. არის ღორებისა და გოჭების სიკვდილიანობის ფაქტები.

მეურნეობაში 147 საფურაჟე ძროხაა. მართალია, სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის გეგმები გადაჭარბებით სრულდება, მაგრამ ძვირი ჯდება ხორცისა და რძის წარმოება. მაგალითად, შარშან 1 ცენტნერი მსხვილფეხა პირუტყვის ხორცის წარმოება 208 მანეთი დაჯდა ნაცვლად 152 მანეთისა; ღორის ხორცის წარმოება — 168 მანეთი ნაცვლად 117 მანეთისა; 1 ცენტნერი რძის წარმოება — 24 მანეთი ნაცვლად 17 მანეთისა.

რამ განაპირობა პროდუქციის ასეთი სიძვირე?

უწინარეს ყოვლისა მცირე იყო ხორცისა და რძის სახელმწიფოსათვის მიყიდვის ფასები. ძვირი უჯდებათ საკვები, მათ შორის სიმინდი! წარმოება.

მეურნეობის ტერიტორიას 2.500 ჰექტარი უკავია. მათ შორის სახნავი და სხვა სავარგულებია 1.700 ჰექტარი. დიდი სათიბები აქვთ, მაგრამ დღემდე საკვების მოპოვება საკუთარი ძალებით მაინც არადამაკმაყოფილებელია. გასულ წელს აქ 800 ტონა სილოსი ჩადეს. აქედან 200 ტონა გაფუჭდა. ეს უხარისხოდ დასილოსების ბრალია, რაც წელს უნდა გაითვალისწინოს მეურნეობის დირექციამ. შარშან ცალკე არ პყავდათ საკვებმომამზადებელი ბრიგადა. იგი წელს შეიქმნა და კარგადაც მუშაობს. მაგრამ ბრიგადა ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის დაკომპლექტებული კადრებით, უზრუნველყოფილი არ არის ტექნიკით. ეს საკითხები საჩქაროდ უნდა მოგვარდეს.

მეურნეობაში ხშირია პირუტყვის ბერწიანობა. ეს იმიტომ ხდება, რომ აქ ჩამოყალიბებული არ არის ხელოვნური დათესლვის პუნქტი. ზოოვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკები ადგილზე არ ეხმარებიან კოლხიდელ მეცხოველეებს, ნაკლებად აინტერესებთ ამ მხარეში მეცხოველეობის განვითარების საკითხები. აბა სხვანაირად როგორ აგიხსნათ ის ფაქტი, რომ ინსტიტუტს კოლხიდის ზონაში არა აქვს არც ერთი საცდელი მეურნეობა.

საგულისხმოა შემდეგი ფაქტები: მეურნეობის შექმნის დროს კოლმეურნეობებში ირიცხებოდა 1274 შრომისუნარიანი კოლმეურნე, აქედან საკოლმეურნეო შრომაში 965 მონაწილეობდა. საბჭოთა მეურნეობის შექმნის დროს მუშებად ჩარიცხეს 571 კაცი, მათგან ზოგიერთი მუშა ფორმალურად ირიცხება საბჭოთა მეურნეობაში და მუშაობს 10-12 დღეს თვეში, ზოგიერთები სრულებით არ მუშაობენ, ხოლო ხარგებლობენ საბჭოთა მეურნეობის ყველა სიკეთით. ეს იმის ბრალია, რომ ჯერ კიდევ არ განხორციელებულა სათანადო ღონისძიება მუქთახორების, დეზერტირების მიმართ. ასეთებად აქ დაასახელეს ყ. ჭოჭუა, ნ. ცინაძე, ქ. ფაილოძე, ხ. ჭოჭუა და სხვები.

ახლა, როცა ყველას თავისი წვლილი შეაქვს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, ჭალადიდელმა მეცხოველეებმა, მეურნეობის დირექციამ, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ისე უნდა მოაწყონ მუშაობა, რომ მეურნეობა უახლოეს ხანში შემოსავლიანი და რენტაბელური გახდეს.

Ზ. ᲜᲝᲓᲘᲐ,
„კომუნისტის“ საქ. კორ.

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲗᲔᲛᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

ᲓᲘᲓᲘ ხანი არ არის მას შემდეგ, რაც გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ სპეციალისტებ ბრიგადებსა და ფერმებში სამუშაოდ ეგზავნის ინიციატორებად გამოვიდნენ.

და თუ ახლა ველისციხელთა ამ შესანიშნავ პატრიოტულ თაოსნობას იცნობენ არა მარტო გურჯაანის რაიონში, არამედ მთელ ჩვენს რესპუბლიკაში, ამაში დამსახურება მიუძღვის გურჯაანის სარაიონთაშორისო გაზეთს „ლენინის გზით“ (რედაქტორი კ. ბანძელაძე).

ველისციხელთა პატრიოტული თაოსნობის ამბავი მშრომელებმა პირველად გაზეთის 1 მაისის ნომერში ამოიკითხეს.

—კომუნისტი აგრონომები გ. ჩიკურიშვილი, ა. ბეჟანიშვილი, ი. მემარნიძე, ე. გაბრუაშვილი—ი ისინი, ვინც პირველებმა გადაწყვიტეს სამუშაოდ წავიდნენ უშუალოდ ბრიგადებში, თავიანთი ცოდნა და გამოცდილება მოახმარონ სოფლის მეურნეობის აღმავლობას,—იუწყებოდა გაზეთი.

ამირიდან გაზეთის დიდი საზრუნავი გაუჩნდა, რადგან სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ამ მნიშვნელოვანმა ნაბიჯმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა.

რედაქციის კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გაზეთი თავისი მეთაური წერილებით, სპეციალური განცოგლებებით, ცალკეული სტატიებითა და ნარკვევებით სისტემატურად ეხმაურება ჩვენი ცხოვრების მაღალ მოთხოვნას.

თუ რა დიდი გაჭანგება მიიღო ველისციხელთა მოძრაობამ, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ გურჯაანის ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს ზონაში ბრიგადებსა და ფერმებს სათავეში ჩაუდგა უმაღლესი განათლების მქონე 111 სპეციალისტი, ხოლო რესპუბლიკაში ველისციხელთა მიმდევრების რიცხვმა 300-ს გადააჭარბა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა წამოწყება გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა, რომლებმაც ითავეს სამუშაოდ გადასვლა ბრიგადებსა და მეცხოველეობის ფერმებში. დადგენილებაში აღინიშნა, რომ ველისციხელი აგრონომებისა და ზოოტექნიკოსების ინიციატივას დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის სპეციალისტებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების საშუალო რგოლის განმტკიცებისათვის და მას ყოველმხრივ უნდა დაგუჭიროთ მხარი და გავავრცელოთ.

სწორედ მოიქცა გაზეთი, უკანასკნელ ხანებში ყურადღების ცენტრი რომ გადაიტანა ინიციატორთა პრაქტიკული საქმეების ჩვენებაზე. მარტო წერილების სათაურთა ჩამოთვლაც ცხადყოფს ამას: „პირველი ღღეები, პირველი ნაბიჯები“, „უტბევენ ველისციხელი ინიციატორები“, „დასაწყისი კარგია“, „პირველი წარმატებანი“ და სხვ.

—მას შემდეგ, რაც ჩვენთან ბრიგადებს სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ხელმძღვანელობენ, — წერს გაზეთის ერთ-ერთ ნომერში გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ თავმჯდომარე დ. მამისაშვილი,—საქმე კარგად მიდის. არა მარტო წარმატებით ხორცელდება აგროტექნიკური ღონისძიებები, არამედ ბრიგადებში მტკიცდება შრომის დისციპლინა, წესრიგი მყარდება შრომის ორგანიზაციაში. აი თუნდაც გულნარა ჩეკურიშვილის ბრიგადის მაგალითი დავასახელოთ. ის იყო დგებოდა პირველი მწვანე ოპერაციის ჩატარების ვადა, როცა ეს გამოცდილი აგრონომი ბრიგადას ჩაუდგა სათავეში. ვიდრე საქმეს შეუდგებოდა, გულდასმით გაეცნო ბრიგადის შემადგენლობას. მისი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრეს ბრიგადის იმ წევრებმა, რომლებიც იშვიათად ჩნდებოდნენ ვენახში. ამის შესახებ საქმიანად მოიკითხა მერგოლურებს, მათთან ერთად შეისწავლა კოლმეურნეთა სამუშაოზე გამოუცხადებლობის მიზეზები და ყველას ცალკე ესაუბრა... ამჟამად თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ბრიგადის ყველა შრომისუნარიანი წევრი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაშია ჩაბმული. ადრე ჩამორჩენილნი ახლა მოწინავეთა მხარდამხარ მიდიან. ბრიგადიერი სერიოზულ ყურადღებას აქცევს შრომის აღრიცხვას. ყველა ნაკვეთი მიმაგრებულია რგოლებზე, რგოლებში კი — ინდივიდუალურად“...

სანამ ა. სოლოლაშვილი ინჟინერ-მექანიზატორად მუშაობდა, ყველგან ვერ სწვდებოდა,—იუწყებოდა ამ ერთი თვის წინ გაზეთი კაპრეთის კოლმეურნეობის ერთ-ერთი სპეციალისტის შესახებ.—ახლა კი, როცა სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელია, როგორ დაიღამების დღეს, რომ არ მივიდეს იქ, სადაც ტრაქტორი თუ კომბაინი, სათესი თუ სათიბი მუშაობს. თუ სადმე შეფერხებებია, დაუყოვნებლივ იღებს ზომებს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სამუშაოს ხარისხს. იმათ, ვინც შეეცდება სამუშაოები ზერელედ შეასრულოს, მკცარად სჯის. საქმეც აწყობილია. ახლა კაპრეთის მინდვრებში, ბაღ-ვენახებში ხმაშეწყობილად გუგუნებენ ტრაქტორები, კომბაინები.

უთუოდ მოსაწონი და მისასალმებელია ნაყოფიერი მუშაობა, რასაც ეწევა გურჯაანის სარაიონთაშორისო გაზეთი „ლენინის გზით“ ველისციხელთა პატრიოტული თაოსნობის პოპულარიზაციისა და ბრიგადებსა და ფერმებში სამუშაოდ გადასულთა პრაქტიკული საქმეების გაშუქების მიზნით.

იმედია გაზეთი შემდგომში კი არ შეასუსტებს, არამედ კიდევ უფრო გააძლიერებს ამ მუშაობას, რადგან სოფლის მეურნეობის სპეციალისტები სამუშაოდ მიდიან წარმოების იმ სფეროში, სადაც ფასეულობანი იქმნება. აქ ისინი დიდ დახმარებას გაუწევენ ზონის მშრომელებს მათ წინაშე დასახული ამოცანების განხორციელების საქმეში.

ᲓᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐ

ᲒᲐᲜᲐᲦᲓᲔᲒᲣᲚᲘᲐ

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თბილისის უალკოჰოლო სასმელებისა და ნახშირმჟავას ქარხანაში ბევრი საამქრო და ბრიგადა უკვე აგვისტოს ანგარიშში მუშაობს.

ხილისაგან სასმელი წყლების დამზადების საამქრომ, რომელსაც ვ. ქრისტინაშვილი ხელმძღვანელობს, 24 ივლისისათვის გადაჭარბებით შეასრულა შვიდი თვის დავალება და აგვისტოს ანგარიშში 2.500 დეკალიტრი მაღალხარისხოვანი პროდუქცია მისცა რესპუბლიკის მშრომელებს.

სიროფის დამამზადებელმა საამქრომ შვიდი თვის საწარმოო გეგმა ექვსი დღით ადრე შეასრულა და გეგმით გათვალისწინებული 12.760 დეკალიტრის ნაცვლად 15.637 დეკალიტრი სასაქონლო სიროფი გამოშვება უზრუნველყო. აგვისტოს ანგარიშში გამოშვებულია 2.867 დეკალიტრი სიროფი. ამ საამქროს ოსტატები შ. გორგობიანი და ქ. კაიშაური ყოველდღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

დავალებათა გადაჭარბებით შესრულებაში დაწინაურდა ნახშირმჟავას დამამზადებელი საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ა. ედიშერაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ 24 ივლისისათვის შვიდი თვის დავალება 115 პროცენტით გაანაღდა.

ᲗᲕᲘᲗᲝᲛᲤᲚᲘᲜᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საქ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის შახტის შვიდწლიანმა სკოლამ უკვე დაამთავრა ახალი სასწავლო წლისათვის მზადება. აქ ყველაფერი გაკრილებულია. სკოლა ყოველმხრივ მომზადებულია ახალი სასწავლო წლისათვის.

ბევრი რამ გაკეთდა სახელოსნოებისა და კაბინეტების შესავსებად. შეძენილ იქნა 1000 მანეთის ღირებულების სასწავლო ხელსაწყოები და იარაღები. დიდი მუშაობაა გაწეული კლასების დასაკომპლექტებლად. მომავალ წელს აქ ისწავლის 300-მდე მოსწავლე. სკოლის გარეთ არ დარჩება სასკოლო ასაკის არც ერთი ბავშვი. 1 სექტემბრიდან სკოლაში გაიხსნება გახანგრძლივებული დღის ორი ჯგუფი.

ᲡᲙᲝᲚᲐ ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ

ᲛᲐᲖᲔ ᲨᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲖᲔ ᲒᲐᲠᲔᲗᲐ...

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲗ ᲙᲕᲘᲠᲐᲓᲦᲔᲡ?

ᲪᲮᲔᲚᲐ, ძალიან ცხელა, ამინდის ბიუროს ცნობათა გადაცემას საქართველოში ამდენი ყურისმგდებელი ჯერ არ ჰყოლია. 38-ს ასცდა თბილისში. 41-ს მიაღწია ქუთაისში.

— ასეთი სიცხე ჯერ არ გვახსოვს!

— „იწვის“ ვითომ ქვეყანა? — ისმის აქა-იქ...

მართალია, ახლა შვებულებების დროა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მშრომელები თავდადებული შრომით ახალ წარმატებებს აღწევენ და იმარჯვებენ.

მაგრამ არსებობს ერთი დღე, მეშვიდე დღე, კვირა, როცა მშრომელი კაცი ხელს უშვებს საქმეს (ტყუილად კი არ ჰქვია კვირას — დასვენების დღე) და ისვენებს, ენერგიას იკრებს, ერთობა, ეცნობა კულტურის ძეგლებს, მიდის ტურისტულ ლაშქრობაში, სათეზოდ. საწარმო-დაწესებულებებში ეწყობა კოლექტიური ექსკურსიები, სავსეა მცხეთა, ზედაზენი და გელათი, მოწამეთა, ყინცვისი, კომკავშირის ხეივანი...

საექსკურსიო მანქანები სერავენ საქართველოს ყაზბეგიდან-სოჭამდე.

როგორ გაატარეს საქართველოს მშრომელებმა გასული კვირადღე? როგორ დაისვენეს, რა ნახეს, რამ შეუშალათ ხელი, რა იყო კარგი და რა იყო ცუდი?

ᲔᲒ ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. კვირა. 1962 წელი. სოხუმი, ქალაქი კურორტი, დამსვენებლებთა სავსე სოხუმი. ამჯერად ჩვენ არ გვაინტერესებს მოაგარაკეების საქმიანობა. დღეს სოხუმის მუშა-მოსამსახურეთა დასვენების ამბავი გვინდა შეეტყოთ.

ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანთან შეგროვდნენ „გუზგიპროპროექტსტროის“ სოხუმის ფილიალის მუშაკები. დილის 8 საათზე საექსკურსიო ავტობუსმა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოტაფის ცნობილ გამოქვაბულ აბრსკილისაკენ აიღო გეზი.

აფხაზეთის ასსრ ფინანსთა სამინისტროს მუშაკებმა კი გუდაუთის შავწყალას კალმახების მეურნეობის თევლწარმტაც ბუნებას მიაშურეს. აფხაზეთის „სანეპიდსადგურის“ თანამშრომლებმა თბომავალ „როსიათი“ გასეირნება არჩიეს და ბათუმისაკენ გაუყვნენ გემით.

სოხუმის ხორცკომბინატისა და სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორის კოლექტივებმა დაათვალიერეს აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმი, პლასტმასის ქარხნის თანამშრომლებმა რვა საუკუნის წინათ აგებული, ქართული კულტურის შესანიშნავი ქმნილება — მდინარე ბესლეთის ხიდი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მშრომელთა დასვენებისათვის საუკეთესო ადგილები აქვთ სოხუმელებს, მაგრამ როგორ არის გამოყენებული ეს ადგილები აქაურ მკვიდრთა დასვენებისათვის? შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ამ საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია.

ბესლეთის უძველესი ხიდის მიდამოები, რომელიც ექვსიოდე კილომეტრით არის დაშორებული ქალაქს, ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია დასვენებისათვის, თავისუფალ დროს აქეთ ასობით სოხუმელი მოეშურება. ამ გზაზე ჩამწკრივებულია სხვადასხვა სავაჭრო ფარდულები და სასაუზმეები, მაგრამ კულორტკვეთრის ხიდოსტნეულის № 6 ფარდულში (გამგე ა. ბასარია, გამყიდველი ო. ვარუნგიანი) მაცივარი გამენილი იყო ღვინითა და არყით. ლიმონათი და სხვა უალკოჰოლო სასმელები კი ყუთებში ეწყო და ისინი ამ პაპანაქებაში არ დაილეოდა. ანალოგიური მდგომარეობა იყო № 2 ფარდულში (გამგე ა. ფოჩხუა).

მდინარე გუმისთის ტერიტორიაზე არსებული № 2 სასაუზმე დანაგვიანებულ კარავს წააგავს, სადაც შესვლაც შეგეზარებათ.

ვესტუმრეთ სპორტული საქონლისა და მონადირეთა კავშირის სპეციალიზებულ მაღაზიებს. აქ მრავალ სოხუმელს შეეხვედრთ. სამწუხაროდ, ამ მაღაზიებში მათთვის არ აღმოჩნდა საჭირო ინვენტარი და მოწყობილობა. არ არის ინკესები, მაგიდის ჩოგბურთის ბურთები, ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთის ბურთების კამერები, ჭადრაკის ფიგურები, საცურაო ქუდები.

ჩაუფარდათ დასვენება სოხუმელ ავტომოყვარულებს, რომლებსაც თავიანთი ოჯახებით სურდათ ქალაქგარეთ გასეირნება. სოხუმში არსებულ ნავთობბრიდუქტების სავაჭრო სპეციალიზებულ მაღაზიებში არსად ბენზინი არ იყო.

ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის ბევრ სხვა ქალაქსაც შეხვედრნი ასეთ მდგომარეობას. მოუვლელია მშრომელთა დასასვენებელი ადგილები, ხშირია შემთხვევა, როცა ადგილზე საწარმოთა ხელმძღვანელები არ ზრუნავენ მშრომელთა კოლექტიური დასვენების ორგანიზაციაზე, ნაკლებ საგულისხმო, მეორეხარისხოვან საქმედ თვლიან ამას და სასხვათაშორისოდ ეკიდებიან.

რეიდის მონაწილეებმა გამოარკვიეს, რომ ტყიბულში, მეშახტეთა ამ ძველ ქალაქში, შეიძლება უფრო შინაარსიანი, უფრო მიმზიდველი გახდეს მშრომელთა საკვირაო დასვენება. ამისათვის საჭიროა მეტი ფიქრი, მეტი მონდომებისა და ინიციატივის გამოჩენა, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ქმედითობა.

ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ოცი-ოდე კილომეტრის მოშორებით, მდებარეობს „შაორის ზღვა“. ერთ დროს ეს ზღვა უამრავ ხალხს იზიდავდა, მეშახტეთა მრავალი ოჯახი კვირას ამ „ზღვის“ სანაპიროზე ატარებდა. წელს კი „შაორის ზღვასთან“ მისვლა პირდაპირ პრობლემა გახდა. საქმე ის არის, რომ შაორავეს სამშენებელო სამმართველომ გაიჭიანურა სამანქანო გზის რეკონსტრუქციის სამუშაოები. ერთი კვირის წინათ გზის დასაწყისში გამოაკრეს წარწერა: „შარაგზაზე მიმოსვლა შეწყვეტილია“. საკუთარი ავტომანქანებით ქალაქგარეთ მიმავალი მეშახტეები, როგორც კი თვალს მოჰკრავენ ამ წარწერას, ხელს ჩაიქნევენ და გულდაწყვეტილი ბრუნდებიან უკან: საჭიროა შაორჰესის სამშენებლო სამმართველომ დაიჩქაროს გზის რეკონსტრუქცია.

ᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ სამხრეთ-დასავლეთით აკრავს მეორე ხელოვნური წყალსაცავი — „ტყიბულის ზღვა“. იგი ქალაქიდან დაშორებულია სულ 6-7 კილომეტრით. ზღვის ტალღების ყველა მოყვარულს როდი შეუძლია ისარგებლოს ბუნების ამ სიკეთით, ამის მიზეზი უტრანსპორტობაა.

კარგი იქნება, თუ „კვირადღით„ ტყიბულის ზღვამდე“ დაინიშნება საავტომობილო მიმოსვლა. ეს ძნელი არ არის. საჭიროა მხოლოდ მოფიქრება და მონდომება. ურიგო არ იქნება, თუ გამოსასვლელ დღეებში ზღვის სანაპიროზე საავაჭრო ორგანიზაციები მოაწყობენ სახელდახელო ფარდულებს, სადაც გაჰყიდიან გამაგრილებელ სასმელებს და საჭმელს.

ტყიბულში მშრომელების განკარგულებაშია საუკეთესო კეთილმოწყობილი საცურავი აუზი. მაგრამ ზოგჯერ მას ვერ იყენებენ იმის გამო, რომ საცურავი აუზის ასავსებად წყალი არ ემეტებათ.

ეს ნაკლოვანებები თუ აღმოიფხვრება, მეშახტეთა საკვირაო დასვენება შინაარსიანი და მიმზიდველი გახდება.

მართალია, ამ ბოლო დროს ტყიბულში მკვეთრად გაუმჯობესდა მეშახტეთა კულტურული დასვენებისა და გართობის საქმე, მაგრამ საჭიროა კიდევ მეტი ყურადღება.

რუსთაველ მეტალურგებს ტყიბულელ მეშახტეებზე უკეთ ჰქონიათ ამ კვირადღეს დასვენების საქმე.

ქალაქის პარკში, რომელიც ბუნებრივი ტყის ბაზაზეა შექმნილი, ტევა არ არის. აქ სახელდახელო „ტურნირია“ ჭადრაკში, იქ წრე შეუკრავთ ბიჭებს და „ფალავნობაზე“ გაუმართავთ ჭიდაობა. ქალქგარეთ კი ჯანდარის ტბის ნაპირი სავსეა მეთევზეებით. მეტალურგები საექსკურსიოდ არიან წასული მცხეთაში, საგურამოში, გარეჯაში, სპეცმშენის თანამშრომლებმა შორეული ექსკურსია მოაწყეს ქუთაისში.

კვირას კარგად მოაწყეს დასვენება ქუთაისელმა მშრომელებმა. ქართული ავტომობილის მშენებელთა ერთი ჯგუფი საექსკურსიოდ გაემგზავრა თბილისში, რუსთავში, მცხეთასა და საგურამოში. პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის ინიციატივით სხვა ჯგუფები სათაფლიასა და გელათში გაეშურნენ. აბრეშუმკომბინატის, ელექტრომექანიკური და მინის ტარის ქარხნის მუშა-მოსამსახურეები იყვნენ ზუგდიდში, სოხუმში, ახალ ათონში, რიწის ტბაზე, რკინიგზელები — ვარძიაში, მკერავები — ბათუმში. საერთოდ, ათასამდე მშრომელი გაემგზავრა ქალაქგარეთ, რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილებში.

და მაინც ყოველივე ამის მიუხედავად რეიდის მონაწილეებმა მშრომელთა დასვენების ორგანიზაციაში ბეჯერეობის, დაუდევრობისა და აშკარა უპასუხისმგებლობის ბევრი ფაქტი გამოავლინეს.

ყველაზე გულსატკენი ის არის, რომ ქუთაისს, რომელსაც შეუჯე მდინარე რიონი ჩაუდის, ერთი ბეჭედი საცურავი აუზი არ გააჩნია, თუმცა ქალაქს გუმათის ზღვა ეკვრის, იგი ამჯერად უბინძურესად არის მიტოვებული. ასე გასინჯეთ, ზღვადე საავტომობილო გზაც არ არის გაყვანილი.

დაუშვებლად ჭიანურდება სათაფლიის ნაკოძალისა და გამოქვაბულის კეთილმოწყობა. სამანქანო გზიდან გამოქვაბულამდე მისასვლელი გზა უკარგისია. აქ დასასვენებლად და საექსკურსიოდ მოსული მშრომელები უკმაყოფილებას



ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲠᲔᲚᲘᲙᲕᲘᲐ ᲡᲐᲭᲣᲥᲠᲐᲓ ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲡ

ᲐᲛᲐᲡ წინათ დილით ადრე მოსკოვში ლენინგრადის ვაგზლის პერონს ჩქარი მატარებელი მოადგა. ვაგონიდან მოლიმარი, სასიამოვნო შეხედულების კაცი გადმოვიდა. უნო ვილერსი—ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, შვეიცის ეროვნული ბიბლიოთეკების გენერალური დირექტორი და სტოკჰოლმის სამეფო ბიბლიოთეკის დირექტორი, რომელიც სსრ კავშირში ჩამოვიდა ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის 100 წლისთავის საიუბილეო დღეებისადმი მიძღვნილ სხდომებზე მოსასმენად. ეს ამბავი ადგილობრივ ბეჭდვითაც გავრცელდა. ამ ამბავმა ბიბლიოთეკის ეზოში, ბიბლიოთეკის ოთახებში, ბიბლიოთეკის ბინადრებს შორის, ბიბლიოთეკის ოფლიანებს შორის, ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარებს შორის, ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარებს შორის, ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარებს შორის, ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარებს შორის, ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარებს შორის, ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარებს შორის, ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარებს შორის, ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარებს შორის, ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარებს შორის, ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარებს შორის, ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარებს შორის, ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარებს შორის, ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარებს შორის, ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარებს შორის, ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარებს შორის, ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-ბიბლიოთეკარ-

ᲐᲠᲐᲛᲝᲜᲐᲗᲐ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ, ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ

ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘ ᲒᲝᲓᲝᲒᲝᲕᲔᲚᲔᲑᲗᲐ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲔᲝᲛᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ საგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნდა ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა თეატრის დირექტორს, ხელოვნების ღამსახურებულ მოღვაწეს ბ. ᲛᲘᲠᲚᲘᲡᲘᲡ სთხოვა მოეთხრო მკითხველებისათვის, თუ როგორ ჩატარდა თეატრის გასტროლები. მან თქვა:

— ჩვენი თეატრის კოლექტივმა თავისი ხელოვნება გააცნო სომხეთისა და აზერბაიჯანის ბევრი ქალაქის მაყურებელს, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ძირითადი მასპინძლები საბჭოთა არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები იყვნენ — გრიბოედოველთა გასტროლები მათი მომსახურეობისათვის იყო განკუთვნილი.

პირველი დადგმა თეატრმა გამართა 5 იგნისს და უჩვენა ერთ-ერთი საუკეთესო დადგმა — ლ. შეინინის პიესა „თამაში წესების დაუცველად“. შემდეგ თეატრი ესტუმრა სომხეთისა და აზერბაიჯანის სხვა ქალაქებს. საგასტროლო რეპერტუარში იყო საუკეთესო დადგმები — კ. ფინის „ბრიყვი“ მოხუცი“, ა. ტურის „მთვარის სონატა“, ძმები ტურების „ჩრდილოეთის მადონა“ და ა. კასონას „მესამე სტუმარი“.

საგასტროლო მოგზაურობაში თეატრი წასული იყო 70 კაცის შემადგენლობით (მათ შორის 45 მსახიობი). სულ ნაჩვენები იქნა 51 სპექტაკლი.

ყველა ქალაქში, სადაც კი თეატრის კოლექტივს მოუხდა გამოსვლა, გასტროლების დამთავრების შემდეგ გაიმართა შემოქმედებითი შეხვედრები. ამას გარდა თვითმოქმედების კოლექტივებისა და სახალხო თეატრებისათვის მოეწყო ლექციები და საუბრები. თეატრის მსახიობმა რესპუბლიკის ღამსახურებულმა არტისტმა, ბ. მინეევმა წაიკითხა ლექცია თემაზე „გრიმი თეატრში“, თეატრის მთავარმა რეჟისორმა, ხელოვნების ღამსახურებულმა მოღვაწემ ა. რუბინმა — „ტემპი და რიტმი სპექტაკლში“, თეატრის ინჟინერმა-ელექტრიკოსმა ე. ალბოვსკიმ — „განაფების შესახებ თეატრალურ ზელოვნებაში“.

ამჟამად გრიბოედოვის სახელობის თეატრის კოლექტივი ᲨᲘᲒᲑᲣᲚᲔᲑᲨᲘᲐ, 12 აგვისტოდან მსახიობები ᲛᲘᲣᲠᲘᲜᲔᲑᲘᲗᲐᲜ და დაიწყება მზადება 1962-63 წლების თეატრალური სეზონის შესახვედრად. ახალი სეზონი გაიხსნება 1 სექტემბერს პრემიერით. წარმოდგენილ იქნება დ. უკრიუმოვის პიესა „იარლიყებიანი ჩემოდანი“.

ᲛᲝᲪᲣᲠᲐᲕᲗᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

26 ᲘᲘᲚᲘᲡᲘ სტუდენტ მცურავთა ასპარეზობის უკანასკნელი დღე იყო. ამ დღეს გამოვლინდა კიდევ ხუთი ჩემპიონი.

200 მ. ბრასის სტილით ცურვაში ქალთა შორის პირველობა აიღო დიუთმო კოვეელმა ა. კოვალენკომ, რომელმაც აჩვენა დრო 3 წუთი და 04,3 წამი. ამავე სახეობაში ვაჟთა შორის ჩემპიონობა მოიპოვა მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ა. ᲩᲣᲛᲐᲙᲝᲕᲛᲐ (დრო — 2 წუთი და 44,3 წამი). ლვოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ვ. ᲘᲝᲡᲘᲤᲩᲣᲙᲘ თამაშების ჩემპიონი გახდა 1.500 მ. თავისუფალი სტილით ცურვაში (დრო — 19 წუთი და 25 წამი).

ვაჟთა კომბინირებული ესტაფეტა 4×100 მ. მოგება მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სპორტსმენებმა და ჩემპიონები გახდნენ.

მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის მცურავ ქალთა გუნდმა ჩემპიონის სახელი მოიპოვა ესტაფეტაში 4×100 მ. (თავისუფალი სტილით ცურვა).

გენდერი ჩათვლაში ჰუმანიტარული და ტექნიკური სასწავლებლების მიხედვით პირველი ადგილი ხვდათ მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სპორტსმენებს, ხოლო ფიზკულტურის ინსტიტუტების მიხედვით — მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის მცურავებს. გამარჯვებულებს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები და დიპლომები.

ᲒᲣᲨᲘᲜ გამოვლინდა აგრეთვე ჩემპიონი 3-მეტრიან ტრამპლინიდან წყალში ხტომაში ვაჟთა შორის. ეს გახლავთ მოსკოველი კ. ᲓᲐᲜᲘᲚᲝᲕᲘ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ი. გუტიახულოვმა მესამე ადგილი დაიკავა.

ᲛᲝᲮᲘᲓᲐᲕᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ სტილით ჭიდაობაში ფიზკულტურის ინსტიტუტების კოლექტივებს შორის წარმატებით გამოდის თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრები. თბილისელები დღეისათვის მეორე ადგილზე იმყოფებიან. მათ 15 საჭარიმო ქულა აქვთ. წინ მხოლოდ მათი მოსკოველი თანაკლასელები არიან.

უკვე პრაზიორთა სამეულში ᲗᲝᲜᲘᲐᲜ ნ. გაჩეჩილაძე (უმაღლესი წონა), ზ. გურხული (ქვემსუბუქი წონა) საპრიზო ადგილისათვის შეიძლება იბრძოლოს აგრეთვე სამუალო წონის მოჭიდაველ მაჭავარიანმა.

ტექნიკური და ჰუმანიტარული სასწავლებლების ასპარეზობაში წარმატებით გამოდიან თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები. დავლიანიძემ (ქვესაშუალო წონა) სამი შეხვედრა მოიგო წმიდად და ამას სულ 5 წუთი და 27 წამი მოანდომა. საშუალო წონაში კარგად გამოდის ანთიძე, რომელსაც ყველა წმიდა გამარჯვება აქვს. ქვემძიმე წონაში წარმატებით იბრძვის ქავთარაძე, რომელსაც მხოლოდ ერთი საჯარიმო ქულა აქვს. ერთი საჯარიმო ქულა აქვს აგრეთვე მსუბუქი წონის მოჭიდაველს ტარიელს.

რ. ᲙᲝᲚᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲥᲐᲚᲝᲡᲜᲝᲑᲐᲨᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ ქალსანთა ასპარეზობამ კიდევ ორი ჩემპიონი გამოავლინა. ქვემსუბუქ წონაში ეს ტიტული მოიპოვა მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის სტუდენტმა ი. ᲞᲝᲞᲝᲕᲘᲩᲛᲐ. მან კლასიკურ სამჭიდაოში აჩვენა 317,5 კილოგრამი. მეორე ადგილზეა უკრაინის წარმომადგენელი ვ. იახნენკო 315 კილოგრამი.

მსუბუქ წონაში სტუდენტთა მესამე თამაშების ჩემპიონის სახელი მოსკოველ ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ვ. ᲣᲘᲐᲜᲔᲕᲛᲐ მოიპოვა. კლასიკურ სამჭიდაოში მისი შედეგია 375 კილოგრამი. მეორე ადგილზე 365 კილოგრამით გამოვიდა ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ბ. როკოკოი, რომელმაც პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

შეჯიბრება გრძელდება.

ᲠᲐᲞᲘᲠᲘᲡᲢᲗᲐ ᲓᲣᲔᲚᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ დამთავრდა რაპირისტ ქალთა ასპარეზობა. ფინალურ ბრძოლაში ფიზკულტურის ინსტიტუტების გუნდებს შორის გამარჯვება მოიპოვა მოსკოველებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ლვოვის გუნდი, მესამეზე — სმოლენსკის გუნდი.

ჰუმანიტარული და ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლების რაპირისტ ქალთა ფინალურ ასპარეზობაში გამოდიოდა ოთხი კოლექტივი. მათ შორის იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი. ჩვენმა მოფარიკაკეებმა შეჯიბრებაში მეორე ადგილი დაიკავეს. ჩემპიონი გახდა დნეპროპეტროვსკის სამედიცინო ინსტიტუტის გუნდი.

ᲛᲔᲝᲠᲔᲓ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲐ

ᲔᲡ იყო 1936 წლის 7 სექტემბერს, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ა“ კლასის ფეხბურთელთა პირველ მატჩში. თამაშს მეხუთე წუთია. თბილისის დინამოელთა ცენტრალური თავდამსმელი ბორის პაიჭაძე მოწინააღმდეგის-კიევის „დინამოს“ საჯარიმო მოედნისაკენ გაიჭრა, ყუმბარისებური, დარტყმა, მაგრამ მეკარე ტრუსეგიჩმა ვეფხისებურ ნახტომით მოიგერია ბურთი.

კიევის დინამოელებმა თბილისელთა იერიშებს კონტრშეტევით უპასუხეს და შეგოცის დარტყმულმა ბურთმა პირველად შეარხია თბილისელთა გუნდის ბადე.

მეჩვიდმეტე წუთზე ბორის პაიჭაძემ მოატყუა მოწინააღმდეგის რამდენიმე მოთამაშე, ბურთი გადასცა მარცხენა გარემარბს ნიკოლოზ სომოვს, რომელმაც ანგარიში გაათანაბრა. იწურება პირველი ტაიმი. ბორის პაიჭაძე ამჯერადაც გაიჭრა კიეველთა საჯარიმო მოედნისაკენ და უკრაინელი მეკარე იძულებული გახდა მეორედ გამოეტანა ბურთი კარიდან.

მატჩის დამთავრებას რამდენიმე წუთი აკლდა, როცა თბილისელები თერთმეტმეტრიანით დაჯარიმდნენ. კიეველი შეგოცის დარტყმა და კარი აღებულია.

პირველი მატჩი ფრედ — 2:2 დამთავრდა.

მკითხველს ალბათ აინტერესებს დიდი ფეხბურთის პირველ წარმომადგენელთა ვინაობა, რომლებიც მოსკოველმა გულშემატკივრებმა „დიდ ურუგვაელებად“ მონათლეს. ესენი იყვნენ: ბასკების მიერ ზამორად მონათლული მეკარე ალეშანდრე დორობოვი, დინამოელთა გუნდის კაპიტანი, უძლიერესი მცველი შოთა შაგგულიძე, სხარტი ბუკა ბერძენიშვილი, ელვისებური ნიკოლოზ ანინკინი, „მაკრატელას“ ოსტატი ვლადიმერ ჯორბენაძე, ფოლადივით მტკიცე გრიგოლ გაგუა, დაუღალავი ილია პანნინი, პენალტის უბადლო ოსტატი მიხეილ ბერძენიშვილი, მეკარეთა რისხვა, ფეხბურთის ჯადოქარი ბორის პაიჭაძე, ცეცხლოვანი და შემტევი მიხეილ ასლამაზოვი, შეუკავებელი ნიკოლოზ სომოვი.

აქედან მოყოლებული მთელი ოცდახუთი წლის მანძილზე თბილისის „დინამოს“ სტადიონზე იმართებოდა საკავშირო ჩემპიონატის ყველა მატჩი. ყოველ გაზაფხულზე საკავშირო პირველობის ალამის აღმართვას თბილისის „დინამოს“ სტადიონზე მღელვარებით ელოდნენ გულშემატკივრები. აქეთკენ იყო მათი გულისყური მიმართული. მხოლოდ მესამე წელია, რაც აქ მოედანი და ტრიბუნები არ გაუცოცხლებია მაყურებელთა და ფეხბურთელთა ერთობლივ აღმაფრენას. გულშემატკივრები გულდაწყვეტილნი ჩაუვლიდნენ ხარაჩოებში ჩასმულ ტრიბუნებს, მათ გული არ მოუთმენდათ რამდენიმე წუთით არ შეჩერებულიყვნენ სტადიონთან ჭადრების ხეივანში და რამდენიმე სიტყვა არ ეთქვათ ერთმანეთისათვის ფეხბურთის თაობაზე.

დღეს კი, თითქმის სამი წლის შესვენების შემდეგ ისევ მოვლენ განახლებულ ტრიბუნებზე, რათა კვლავ განიცადონ ხიდარული და მღელვარება მოედანზე გაჩენილი გუნდების ბრძოლისას.

აი იგივე მოედანი, კარები, ბადე, რომელშიც თბილისელთა მიერ არაერთხელ ლამაზად გაბვეული ბურთი უნახავთ მაყურებლებს. აქ ნახეს მაყურებლებმა ქართველი დინამოელების მიერ მარცხენა გარემარბ ნიკოლოზ სომოვის პირველი და ახლანდელი მარცხენა გარემარბის საბჭოთა გარიჩნას — მიხეილ მესხის მეცხრაასე ბურთი, რომელიც მან მოსკოვის „სპარტაკის“ კარში გაიტანა. ამის შემდეგ თბილისელებმა კიდევ ასზე მეტი ბურთი გაიტანეს, რომლებიც ამ მოედანს, ამ ტრიბუნებს არ უბილავთ. მეათასე საიუბილეო ბურთი თბილისის დინამოელებმა იმავე მოსკოვის „სპარტაკის“ კარის ბადეში „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაახვიეს, ამ ბურთის ავტორი იყო თავდასხმის სული და გული ვლადიმერ ბარქაია.

დღეს კი ქართული ფეხბურთის გულშემატკივრები განსაკუთრებული ხალისით და მღელვარებით გაეშგზავრებიან თავიანთი საყვარელი სტადიონისაკენ, სადაც დაირწა ქართული ფეხბურთის აკვანი.

ბ. ᲑᲐᲮᲢᲣᲠᲘᲫᲔ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: (ზემოთ) თბილისის „დინამოს“ სტადიონის ცენტრალური თაღი ღღეს. (ქვემოთ) „ა“ კლასის ფეხბურთელთა გუნდების თბილისისა და კიევის დინამოელთა პირველი მატჩი 1936 წლის 7 სექტემბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე. პირველი ბურთი კიეველთა კარში თბილისელმა ნ. სომოვმა გაიტანა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და კ. შანიძისა.





ᲛᲝᲫᲚᲔᲝᲡᲜᲣᲠ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲔᲑᲖᲔ

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ მძლეოსნები განაგრძობენ სპორტულ პაექრობას. გუშინდელ ასპარეზობათა თვალსაჩინო ნაწილი დაეთმო წინაასწარ შეზვედრებს, რომელსაც უნდა გამოვლინა ფინალისტები. ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრება რბენაში 400 მეტრზე ვაჟთათვის დამთავრდა კრასნოდარის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენის ე. ᲞᲐᲕᲚᲝᲕᲘᲡ წარმატებით, რომელმაც დისტანცია გაირბინა 48,3 წამში და სტუდენტთა თამაშების ახალი რეკორდი დაამყარა.

საინტერესოდ მიმდინარეობდა დასკვნითი შეჯიბრება სამმაგ ხტომაში. აქ უძლიერესი იყო რსფსრ მძლეოსანთა კოლექტივის წარმომადგენელი ა. ᲗᲝᲚᲝᲢᲐᲠᲘᲝᲕᲘ, რომელმაც აჩვენა შედეგი 16 მეტრი და 14 სანტიმეტრი. მოდიან სპარიზო ადგილები დაიკავეს ლ. ᲙᲐᲠᲞᲣᲨᲘᲜᲙᲝᲛ (მოსკოვის უნივერსიტეტი, 15 მეტრი და 72 სანტიმეტრი) და ო. რიახოვსკომ (მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი, 15 მეტრი და 68 სანტიმეტრი).

შეუპოვარი ბრძოლით გამოირჩეოდა ფინალური შეჯიბრება 1.500 მეტრზე რბენაში. სტუდენტთა თამაშების ჩემპიონი გახდა რსფსრ გუნდის წევრი ნ. ᲒᲝᲚᲣᲑᲔᲜᲙᲝᲕᲘ. დრო — 3 წუთი და 53,2 წამი.

ლ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ.
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔᲓᲐ: ამანაორბენში 4×100 მ. გამარჯვებული უკრაინის ვაჟთა გუნდი (მარცხნიდან) ა. კოროიჩენკო, ვ. ხრიროვი, ლ. ბარტენევი და ვ. ბოროვოი, რომლებმაც სპორტის ამ სახეობაში სტუდენტთა თამაშების ახალი რეკორდი დაამყარეს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში გრძელდება ასპარეზობა მხატვრულ ტანვარჯიშში. რსფსრ ხალხების ნაკრებმა გუნდებმა და ფიზკულტურის ინსტიტუტების კოლექტივებმა დაამთავრეს სავალდებულო პროგრამით გათვალისწინებული ვარჯიში.

დღეს დაიწყება ნებისმიერი ვარჯიში, რაც ალბათ ცვლილებებს შეიტანს საპრიზო ადგილების განაწილებაში. სავალდებულო პროგრამით გათვალისწინებულ სახეობაში ვარჯიშის შემდეგ პირად ჩათვლაში ლიდერობენ ბირიუკი (უკრაინა), სტაროკელოვა (რსფსრ) რესპუბლიკათა ნაკრებ გუნდებს შორის საკავშირო პროგრამის შემდეგ ლიდერობას ლენინგრადელები ინარჩუნებენ, მეორე ადგილზე აზერბაიჯანელები არიან, მესამეზეა უკრაინა. ფიზკულტურის ინსტიტუტების გუნდებს შორის უკრაინელი გოგონები დაწინაურდნენ.

გუშინ ბრძოლაში ჩაებნენ ტექნიკური და ჰუმანიტარული უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივები. პირველი დღის შემდეგ ლიდერია ლენინგრადის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კოლექტივი.

ნ. ᲜᲔᲩᲔᲡᲐ.
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲓᲜᲔᲜ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ სპორტკავშირის კორტებზე დამთავრდა ნახევარფინალური შეხვედრები პირად პირველობაზე ჩოგბურთში, გამოვლინდნენ ფინალისტები. ქალთა პირადი პირველობის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ერმოლოვა (ნახევარფინალში დაამარცხა გაიდუროვა 6:0, 6:3) და სმეტანკო. ვაჟთა შორის პირადი პირველობის ფინალში შეხვდებიან პოტანინი (დაამარცხა ლ. მძინარაშვილი 6:2, 6:4, 6:4) და ბარხაბიშვილი (დაამარცხა ბაქრაძე 6:2, 6:4, 6:3). მერეული წყვილების ფინალში გავიდნენ პოტანინ-პოტახინასა და მძინარიშვილ-ერმოლოვას წყვილები. ქალთა და ვაჟთა წყვილების ფინალები გაიმართება დღეს, ხოლო პირადი პირველობისა და მერეულ წყვილთა ფინალები 28 ივლისს.

ᲐᲡᲔ ᲘᲛᲙᲘᲓᲔᲕᲘᲐᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲔᲡ

ᲡᲣᲓᲝᲛᲪᲘᲐ ᲕᲘᲜᲘᲜᲐ, (ლვოვის ოლქი), (საკვლესი). დასაჯდომი მოედანი, რომელსაც მფრინავი ვარაუდობდა, ნამყის ძნელი აღმოჩნდა დაფარული. დაჯდომა შეუძლებელი იყო. რა ქნას? მოაბრუნოს უკან? ამაზე საფარაკიც კი არ შეიძლება. უნდა დაეშვას რადაც უნდა დაუჯდეს და საავადმყოფოში მიიტანოს სისხლის ამპულები.

კომუნისტი მფრინავი ი. რომანოვი იღებს „გადაწყვეტილებას — დაეშვას მეზობელ ჭაობზე. მოტორი გამოთიშულია. „იაკ-12“ ეხება ჭაობიან ზედაპირს, რამდენიმე წამს ცურდება, მაგრამ თვლები სულ უფრო ღრმად ეფლობა და მანქანა უეცრად გადატრიალდა. მფრინავი ძლივს გამოვიდა და თვითონ გაეშურა სირბილით წამოსული ადამიანებისაკენ.

საავადმყოფოში კი ამ დროს ექიმი მ. სონდეი შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა ანა აკიმის ასულ დემჩიშინას სიცოცხლისათვის. როცა უკანასკნელი იმედი ქრებოდა, მოვიდა მაშველი ამპულები. სისხლის გადასხმის სისტემა მოწესრიგებული იყო, და სისხლი დაუყოვნებლივ შეეიდოდა ავადმყოფის ორგანიზმში. რამდენიმე წუთის შემდეგ პულსი აღსდგა. ქალმა თვალი გაიღო, მას გონება უბრუნდებოდა...

გუშინ ა. ა. დემჩიშინა საავადმყოფოდან გამოეწერა. შრომას უბრუნდება ქალი, რომლისთვისაც თავდადებით იბრძოდა ბევრი საბჭოთა ადამიანი.

ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲓᲜᲔᲜ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ სპორტკავშირის კორტებზე დამთავრდა ნახევარფინალური შეხვედრები პირად პირველობაზე ჩოგბურთში, გამოვლინდნენ ფინალისტები. ქალთა პირადი პირველობის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან ერმოლოვა (ნახევარფინალში დაამარცხა გაიდუროვა 6:0, 6:3) და სმეტანკო. ვაჟთა შორის პირადი პირველობის ფინალში შეხვდებიან პოტანინი (დაამარცხა ლ. მძინარაშვილი 6:2, 6:4, 6:4) და ბარხაბიშვილი (დაამარცხა ბაქრაძე 6:2, 6:4, 6:3). მერეული წყვილების ფინალში გავიდნენ პოტანინ-პოტახინასა და მძინარიშვილ-ერმოლოვას წყვილები. ქალთა და ვაჟთა წყვილების ფინალები გაიმართება დღეს, ხოლო პირადი პირველობისა და მერეულ წყვილთა ფინალები 28 ივლისს.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ—ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ფეხბურთელთა ასპარეზობა დასასრულს უახლოვდება. როგორც ცნობილია, ფინალში გამოდის ექვსი კოლექტივი. ესენი არიან — ლენინგრადის ტექნიკური, თბილისის სასოფლო-სამეურნეო, მოსკოვის ენერგეტიკის, მელიტოპოლის სასოფლო-სამეურნეო, ბაქოს სკიფ-ისა და დონის როსტოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების გუნდები.

ყურადღებას იპყრობდა გუშინდელი შეხვედრები, პირველ რიგში ლიდერების — ლენინგრადის ტექნიკური და თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების ფეხბურთელთა კოლექტივების მატჩი. სწორედ ამ გუნდების ორთაბრძოლაზე ბევრად იყო დამოკიდებული ჩემპიონობის საკითხი. თბილისელებმა შეჯიბრება მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს და დაამარცხეს ძლიერი მეტოქე ანგარიშით 3:0.

თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდს 7 ქულა აქვს და გათამაშების ლიდერია. მეორე ადგილზეა ლენინგრადის ტექნიკური ინსტიტუტის გუნდი (6 ქულა).

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲗᲐ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲓᲝᲜᲔᲪᲘᲡ ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘᲗ დამთავრდა „ბურევესტნიკის“ საბადაო ჩემპიონატის ნახევარფინალი.

თბილისიდან შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდა ორი გუნდი — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივები. ორივე გუნდმა ტურნირი აღმავლობით ჩაატარა და ფინალში გავიდა. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოჭიდრაკეებმა 31,5 ქულა შეაგროვეს და მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდთან ერთად პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს. თბილისის უნივერსიტეტის გუნდმა 28 ქულით მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

თავიანთ დაფებზე პირველი ადგილი დაიკავეს პირველთანრიგოსანმა გულნარა ბუცხრიკიძემ (თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი) და ოსტატობის კანდიდატმა გ. გამრეკელმა (თბილისის უნივერსიტეტი).

„ბურევესტნიკის“ საბადაო ჩემპიონატის ფინალი 7 გუნდის მონაწილეობით გაიმართება მოსკოვში.

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ აღგილობრივი „ლოკომოტივისა“ და კიშინიოვის „მოლდოვას“ გუნდები. გაიმარჯვეს კიშინიოველმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:1.

დღეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართება მეცამეტე ტურის მატჩები.

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐᲠᲘ

სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა და იყიდება „თბილისის მოკლე სამისამართო ცნობარი“.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ორგანოები, სასამართლო-უფლებრივი დაწესებულებანი, მილიციის ორგანები, ავტონსპექციები, სახანძრო დაცვა, სამხედრო კომისარიატები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, პროფესიული ორგანიზაციები, საზოგადოებები და კომიტეტები, სამეცნიერო დაწესებულებები და სასწავლებლები, ბეჭდვითი სიტყვის ორგანები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, სპორტული ორგანიზაციები, სახელმწიფო ტრესტები, კანტორები და გაერთიანებები, სამრეწველო საწარმოები, სამომხმარებლო კოოპერაცია, ბანკები და შემნახველი სალაროები, საყოფაცხოვრებო მომსახურება, ტანსაცმლის შეკერვა, ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, სამკურნალო-სანიტარული დაწესებულებები, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა...

ყველა ამ საკითხზე წიგნი იძლევა საჭირო ცნობებს ტელეფონისა და მისამართის აღნიშვნით. დაინტერესებული პირი მრავალ საჭირო ცნობას იპოვნის ამ წიგნში, რომელიც შედგენილია თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური მომსახურების საწარმოთა სამმართველოს საქალაქო ცნობათა საინფორმაციო კანტორის — „თბილქალაქცნობის“ თანამშრომელთა ჯგუფის მიერ გ. ა. გედევანიშვილის ხელმძღვანელობით.

წიგნი, რომლის რედაქტორია ირ. არაბული, გამოვიდა 5000 ცალი ტირაჟით და ღირს 42 კაპიკი.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲠᲐᲓᲘᲝ

28 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

08.30 — რუსული საბალეტო მუსიკა, 09.20 — ნაწყვეტი ბ. ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერიდან“, 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.45 — სიმღერები მშობლიურ მხარეზე, 11.00 — რადიორეიდი — „ᲔᲚᲥᲕᲔᲗᲝᲠᲗ ᲕᲐᲒᲜᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲓᲕᲐ“, 11.15 — პოლონელი კომპოზიტორების სიმფონიური ნაწარმოებები, 12.15 — ქართული კამერული მუსიკა, 12.45 — ლიტი, მეფისტოფელესი, 13.40 — პიესები გიტარისათვის, 17.20 — — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოდგდმა „კახა“, 18.05 — კონცერტი: „ᲚᲘᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡᲔᲑᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ“, 18.45—„ᲛᲦᲔᲠᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ ᲮᲐᲚᲘᲩᲨᲕᲘᲚᲘ“, 19.15 — კონცერტი — „ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡᲔᲑᲘ“, 19.45 — გადაცემა, მეძღვნული ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალისადმი, 20,30 — ლიტერატურული გადაცემა, 21.05 — საესტრადო კონცერტი — „ᲨᲐᲑᲐᲗ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ“.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

27 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

18.00 — კინონარკვევი, 18.30 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი, 20.15 — გადაცემა — „აქ ანთია კომკავშირული პროჟექტორი“, 20.30 — გადაცემა ციკლიდან — „ჩვენი ნაცნობი კინომსახიობები“ ლ. ხარიტონოვი, 21.00 — ახალი ამბები, 21.15 — მხატვრული ფილმი „ბალადა ჯარისკაცზე“.

ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲗ, ᲡᲐᲓ ᲒᲡᲣᲠᲗ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲗ!

ᲪᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ

ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲝᲠᲬᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲨᲘ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 1962-63 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲒᲠᲝ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲘᲜᲐᲠᲘᲣᲚ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲖᲔ

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ: რაიკოოპკავშირის და სოფლის კოოპერატიების სავაჭრო სამართოთა გამგე-გამყიდველებს და საზეკვების მუშაკებს (მზარეულ-კონდიტრებს).

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲐᲜ ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლამდე ასაკისა, რომელთაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება. სასწავლებელში ჩარიცხვისას უპირატესობა მიეცემათ: